„ლუნა-9“-ᲛᲘ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲐ ᲓᲐᲡᲐᲮᲣᲚᲘ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲐ

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 46-ე წელი. № 32 (13426) | სამშაბათი, 8 თებერვალი, 1966 წ. | ფასი 2 კაპ.

ᲐᲕᲢᲝᲛᲐᲢᲣᲠᲘ ᲡᲐᲓᲒᲣᲠᲘᲡ „ᲚᲣᲜᲐ-9-ᲘᲡ“ ᲛᲔᲨᲕᲔᲝᲑᲘᲗ ᲛᲗᲕᲐᲠᲘᲡ ᲙᲕᲚᲔᲕᲘᲡ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲐ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲓᲐ

5 თებერვალს 19 საათიდან 20 საათსა და 41 წუთამდე მოსკოვის დროით ავტომატურ სადგურ „ლუნა-9“-სთან მოეწყო რადიოკავშირის სეანსი, რითაც დამთავრდა ავტომატური სადგურის „ლუნა-9“-ის მეშვეობით მთვარის კვლევის დასახული პროგრამა.

სადგურ „ლუნა-9“-იდან გადმოცემული სატელევიზიო გამოსახულებანი უნიკალურია და, მეცნიერთა წინასწარი დასკვნით, უაღრესად დიდი მეცნიერული მნიშვნელობა აქვს მთვარის ზედაპირის სტრუქტურისა და თვისებურებათა გარკვევად.

სადგურ „ᲚᲣᲜᲐ-9“-ᲡᲗᲐᲜ ᲛᲝᲔᲬᲧᲝ ᲠᲐᲓᲘᲝᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲔᲠᲗᲘ ᲡᲔᲐᲜᲡᲘ

როგორც პრესა უკვე იუწყებოდა, წარმატებით დამთავრდა მთვარის კვლევის პროგრამა ავტომატურ სადგურ „ლუნა-9“-ის საშუალებით.

ამასთან, იმის გათვალისწინებით, რომ სადგურის დენის წყაროებს კიდევ ჰქონდა ელექტროენერგიის გარკვეული მარაგი, რომელიც სჭარბობდა გაანგარიშებულ მნიშვნელობას, სადგურ „ლუნა-9“-სთან მოეწყო რადიოკავშირის დამატებითი ორი საათის სეანსი, რომელიც დაიწყო 6 თებერვალს 23 საათსა და 37 წუთზე მოსკოვის დროით.

კავშირის სეანსის დროს სადგურიდან მიღებულია ტელემეტრიული ინფორმაცია, რომელიც ახასიათებს სისტემების მუშაობას, სადგურის ტემპერატურის რეჟიმს, და მთვარის პანორამის ზოგიერთი ნაწილის განმეორებითი ტელეგამოსახულებანი. ამ სეანსის დროს პრაქტიკულად დაიხარჯა სადგურის დენის წყაროთა ელექტროენერგიის მთელი მარაგი და ამიტომ შემდგომი რადიოკავშირი ავტომატურ სადგურ „ლუნა-9“-სთან შეწყდა.

სულ სადგურ „ლუნა-9“-სთან მოეწყო რადიოკავშირის 7 სეანსი, რომელთა საერთო ხანგრძლივობა იყო 8 საათი და 5 წუთი.

სადგურის სამუშაოებით მიღებულ მთვარის ზედაპირის ტელეგამოსახულებებს სამეცნიერო ინფორმაციას შეისწავლიან, და გამოიკვლევენ.

კვლევის შედეგები პრესაში გამოქვეყნდება.

ᲡᲙᲙᲞ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲨᲘ

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღეს დადგენილება „1966 წელს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების კურსდამთავრებულ ახალგაზრდათა სწავლების გაფართოებისა და სახალხო მეურნეობაში სამუშაოდ მოწყობის ღონისძიებათა შესახებ“.

იმასთან დაკავშირებით, რომ ერთი წლით შემცირდა საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სწავლის ვადა და 1966 წელს ერთსა და იმავე დროს ამთავრებენ სკოლას მეათე და მეთერთმეტე კლასების მოსწავლენი, აგრეთვე გადადდება რვა კლასის კურსდამთავრებულთა რიცხვი, სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დადგინეს:

1. დაევალოს მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებს, პარტიის სამხარეო, საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, შრომელთა დეპუტატების სამხარეო, საოლქო, საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს, სამინისტროებსა და უწყებებს უზრუნველყონ 1966 წელს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების კურსდამთავრებულ მოსწავლეებს გადიდებული კონტინგენტის მიღება სასწავლებლებში სწავლის გასაგრძელებად, აგრეთვე წინასწარი პროფესიული მომზადების შემდეგ ახალგაზრდობის იმ ნაწილის დროზე მოწყობა სამუშაოდ საახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგებში, რომელიც ვერ შეძლებს განაგრძოს სწავლა წარმოებისაგან მოწყვეტით.

2. იმ მიზნით, რომ ახალგაზრდობას, რომელიც 1966 წელს ამთავრებს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებს, შეექმნას სწავლის შემდგომი განგრძობისა და პროფესიული მომზადების პირობები:

— 1966 წელს გადიდდეს რვაწლიანი სკოლების კურსდამთავრებულთა მიღება მეცხრე კლასებში 631 ათასი კაცით 1965 წელთან შედარებით;

მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიების ცენტრალურმა კომიტეტებმა და, მინისტრთა საბჭოებმა პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების მონაწილეობით შეიმუშაონ საყოველთაო სავალდებულო რვაწლიანი განათლებისა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებიდან მოსწავლეთა განთავისუფლების შემცირების უზრუნველყოფის ღონისძიებანი;

— 1966 წელს გადიდდეს მოსწავლეთა მიღება საშუალო სპეციალური სასწავლებლების დღის განყოფილებაზე 124 ათასი კაცით 1965 წელთან შედარებით;

— 1966 წელს გადიდდეს სტუდენტთა მიღება უმაღლესი სასწავლებლების დღის განყოფილებაზე 34 ათასი კაცით 1965 წელთან შედარებით, უმთავრესად სამთო, მეტალურგიული და ენერგეტიკული წარმოების სპეციალობათა, ქიმიურ-ტექნოლოგიური, რადიოელექტრონული და ახალი ტექნიკის სხვა სპეციალობათა ინჟინერ-ტექნიკური კადრების, სოფლის მეურნეობის, მსუბუქი და კვების მრეწველობის სპეციალისტთა, აგრეთვე სახალხო მეურნეობის უფროსი დარგის ეკონომისტთა მოსამზადებლად;

— 1966 წელს გადიდდეს მოსწავლეთა მიღება პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების დღის განყოფილებაზე 131,8 ათასი კაცით 1965 წელთან შედარებით;

პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელთა დაკომპლექტების დროს გათვალისწინებულ იქნას ცალკეული ჯგუფების შექმნა საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების კურსდამთავრებულთაგან. არ უნდა შემცირდეს რვაწლიანი სკოლების კურსდამთავრებულ მოსწავლეთა მიღება პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში;

— დიდ სამრეწველო საწარმოებში, საბჭოთა მეურნეობებში, სამშენებლო და სხვა ორგანიზაციებში პროფესიულ-ტექნიკური განათლების ორგანოთა სისტემის საზით შეიქმნას ტექნიკური სასწავლებლები საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების კურსდამთავრებულ ახალგაზრდათაგან კვალიფიციური მუშების მოსამზადებლად. დამტკიცდეს ზემოაღნიშნული ტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეთა მიღების 1966 წლის გეგმა, რომლის შესაბამისად მიღებენ 96,8 ათას კაცს;

— მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, სსრ კავშირის სამინისტროებმა და უწყებებმა საწარმოებში, აგრეთვე პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში (საწარმოებთან, სამშენებლო და სხვა ორგანიზაციებთან ხელშეკრულებითა და მათივე სახსრებით) შექმნან (სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში კადრებზე მოთხოვნილების გათვალისწინებით ფართო ქსელი მოკლევადიანი კურსებისა წარმოებისაგან მოწყვეტით, სადაც სწავლის ვადა 6 თვემდე იქნება, ხოლო ყველაზე რთული პროფესიების შემსწავლელ კურსებზე — ერთ წლამდე, რათა საშუალო სკოლების კურსდამთავრებულთაგან მოამზადონ კვალიფიციური მუშები მრეწველობისა და მშენებლობისათვის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობისათვის, კომუნალური საწარმოებისათვის, საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობებისათვის და სხვა საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის.

დამტკიცდეს ზემოხსენებული მოსამზადებელი კურსების 1966 წლის გეგმა, რომლის შესაბამისად საშუალო სკოლების კურსდამთავრებულთაგან მოამზადებენ მშენებელ მუშებს (მემონტაჟეებსა და მექანიზატორებს) — სულ ცოტა 40.5 ათას კაცს, ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების მუშაკებს — სულ ცოტა 48 ათას კაცს და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მუშაკებს — სულ ცოტა 25,6 ათას კაცს;

— დაევალოს სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს შეიმუშაონ და 1966 წელს განახორციელონ ღონისძიებანი, რომ საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების კურსდამთავრებულთაგან მოამზადონ კვალიფიციური მუშები 1967 წელსა და მომდევნო წლებში ასამუშავებელ საწარმოებში სამუშაოდ. ამ მიზნით საშუალო სკოლების კურსდამთავრებულნი — ახალშენებათა რაიონებში მცხოვრებნი—გაგზავნონ (მათი სურვილისამებრ) პროფესიული სწავლებისათვის ასამუშავებელ საწარმოთა ანალოგიურ მოქმედ საწარმოებში.

3. მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, სსრ კავშირის სამინისტროებმა და უწყებებმა, საწარმოთა, სამშენებლო და სხვა ორგანიზაციათა ხელმძღვანელებმა განახორციელონ ახალგაზრდობის პროფესიული სწავლების გაუმჯობესების ღონისძიებანი. ამისათვის:

— განამტკიცონ წარმოებაში მუშათა მომზადების სასწავლო-საწარმოო ბაზა, წლიურ გეგმებში გათვალისწინონ სასწავლო კომბინატების (პუნქტების, სასწავლო-საწარმოო სამჭრელების, უბნების, სახელოსნოებისა და პოლიგონების) შექმნა და გაფართოება;

— უზრუნველყონ, რომ საბაზო საწარმოებმა, სამშენებლო და სხვა ორგანიზაციებმა უსასყიდლოდ გადასცეს პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებს მათთვის საჭირო მოწყობილობა, მანქანები, ხელსაწყოები და მექანიზმები როგორც სწავლის პროცესის განსახორციელებლად, ისე საწარმო სწავლების პროცესში საწარმოთა და ორგანიზაციათა შეკვეთების შესასრულებლად;

— შეიმუშაონ ახალგაზრდობისათვის საწარმოო სპეციალობათა სწავლების ორგანიზაციის გაუმჯობესების კონკრეტული ღონისძიებანი, რათა ახალგაზრდა მუშები უფრო სწრაფად და უკეთესად დაეუფლონ საჭირო პროფესიულ ცოდნას და პრაქტიკულ ჩვევებს, აგრეთვე შეითვისონ სამუშაოთა უსაშიროდ წარმოების წესები. ახალგაზრდობის პროფესიული სწავლებისათვის გამოყოონ ყველაზე მომზადებული ინჟინრები, ტექნიკოსები და კვალიფიციური მუშები, რომლებსაც უნარი შესწევთ უზრუნველყონ ახალგაზრდობის არა მარტო პროფესიული მომზადება, არამედ სწორი აღზრდაც.

4. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტსა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს დაევალოს:

— მოაწყონ პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში მაღალკვალიფიციური მუშების მომზადება (სამ წლამდე სწავლების ვადით) მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში, მშენებლობაზე, ტრანსპორტზე და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოებში სამუშაოდ პროფესიათა იმ ნუსხით, რომელიც შეთანხმებული იქნება სსრ კავშირის დაინტერესებულ სამინისტროებთან და უწყებებთან და საკავშირო პროფსაბჭოსთან;

— დადგენილი წესით იმ მუშათა პროფესიების ნუსხის განსაზღვრისას, რომლებსაც უშუალოდ წარმოებაში ამზადებენ, 18 წლის ასაკზე უმცროს მოზარდთა საწარმოო სწავლების ვადა უნდა განსაზღვრონ მათი ასაკისა და შესასწავლი პროფესიის სირთულის გათვალისწინებით, მაგრამ არუმატეს ერთი წლისა.

5. ახლად შექმნილ ტექნიკურ სასწავლებელთა და პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელთა ცალკეული ჯგუფების მოსწავლეებს საშუალო სკოლების კურსდამთავრებულთაგან მიეცეთ სტიპენდია დადგენილი წესით.

(ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ ᲛᲔ-2 ᲒᲕᲔᲠᲓᲖᲔ).



ᲒᲣᲚᲘᲗᲐᲓᲘ ᲛᲘᲚᲝᲪᲕᲐ ᲘᲜᲓᲝᲔᲚ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲔᲑᲡ

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა ინდოეთის კომუნისტური პარტიის ეროვნულ საბჭოს გაუგზავნა წერილი, რომელშიც მილოცავს და გულითადად ულოცავს ინდოელ კომუნისტებს ინდოეთის კომპარტიის დაარსების 40 წლისთავს.

წერილში აღნიშნულია, რომ ინდოეთის კომპარტია ყოველთვის იყო ინდოელი ხალხის პირველ რიგებში იმპერიალიზმის, კოლონიალიზმის წინააღმდეგ, ეროვნული დამოუკიდებლობისა და სოციალური პროგრესისათვის სახელოვან ბრძოლაში. ინდოეთის კომპარტიის დიდი წვლილი შეაქვს ინდოეთისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობის განვითარებისა და განმტკიცების საქმეში. პარტიის 40 წლის ისტორია ბოჭმობს, რომ ინდოეთის კომუნისტური პარტიის რიგების შეკავშირება მარქსიზმ-ლენინიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპების საფუძველზე. შეურიგებელი ბრძოლა მემარჯვენე და მემარცხენე ოპორტუნიზმის, ბურჟუაზიული ნაციონალიზმის გავლენის წინააღმდეგ, უზრუნველყოფდა მისი საქმიანობის წარმატებას. ინდოეთის კომპარტია სხვა მოძმე პარტიებთან ერთად აქტიურად იბრძვის საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ერთიანობისა და შეკავშირებისათვის. (საკდესი).

ᲛᲐᲓᲚᲝᲒᲐ ᲫᲛᲣᲠᲘ ᲬᲔᲠᲘᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

კუბის რესპუბლიკის ხელმძღვანელებმა ამბანაგებმა ფიდელ კასტრო რუსმა და ოსვალდო დორტიკოს ტორადომ ამხანაგებს ლ. ი. ბრეჟნევს, ნ. ვ. პოდგორნისა და ა. ნ. კოსიგინს გამოუგზავნეს საპასუხო დეპეშა, რომელშიც კუბელი ხალხის, კუბის კომუნისტური პარტიისა და რევოლუციური მთავრობის სახელით მადლობას უხდიან მათ, მოძმე საბჭოთა ხალხს, საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასა და სსრ კავშირის მთავრობას ძმური წერილისათვის კუბის რევოლუციის მეშვიდე წლისთავის გამო.

დეპეშაში გამოთქმულია რწმენა, რომ კუბისა და სსრ კავშირის მეგობრობა კიდევ უფრო განმტკიცდება. (საკდესი).

ᲐᲤᲠᲘᲙᲘᲡ ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠ-ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ ᲓᲣᲨᲐᲜᲑᲔᲨᲘ

ᲓᲣᲨᲐᲜᲑᲔ, 7 თებერვალი. (საკდესი). კორ.). გუშინ ტაჯიკეთის დედაქალაქში ჩამოვიდა ავღანეთის პრემიერ-მინისტრი მუჰამედ ჰაშიმ მეივანდვალი.

11 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲡ ᲓᲘᲚᲘᲡ 10 ᲡᲐᲐᲗᲖᲔ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲡᲮᲓᲝᲛᲐᲗᲐ ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲨᲘ (ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘᲡ ᲞᲠᲝᲡ�პᲔᲥᲢᲘ № 5) ᲒᲐᲘᲮᲡᲜᲔᲑᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲔᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ XXXII ᲡᲐᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐ

ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲢᲗᲐ ᲠᲔ�გᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲐ ᲘᲬᲧᲔᲑᲗᲔᲑᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲡᲮᲓᲝᲛᲐᲗᲐ ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲨᲘ ᲓᲘᲚᲘᲡ 9 ᲡᲐᲐᲗᲘᲓᲐᲜ.

ᲒᲣᲚᲘᲗᲐᲓᲘ ᲛᲘᲚᲝᲪᲕᲐ ᲘᲜᲓᲝᲔᲚ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲔᲑᲡ

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა ინდოეთის კომუნისტური პარტიის ეროვნულ საბჭოს გაუგზავნა წერილი, რომელშიც მილოცავს და გულითადად ულოცავს ინდოელ კომუნისტებს ინდოეთის კომპარტიის დაარსების 40 წლისთავს.

წერილში აღნიშნულია, რომ ინდოეთის კომპარტია ყოველთვის იყო ინდოელი ხალხის პირველ რიგებში იმპერიალიზმის, კოლონიალიზმის წინააღმდეგ, ეროვნული დამოუკიდებლობისა და სოციალური პროგრესისათვის სახელოვან ბრძოლაში. ინდოეთის კომპარტიის დიდი წვლილი შეაქვს ინდოეთისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობის განვითარებისა და განმტკიცების საქმეში. პარტიის 40 წლის ისტორია მოწმობს, რომ ინდოეთის კომუნისტური პარტიის რიგების შეკავშირება მარქსიზმ-ლენინიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპების საფუძველზე. შეურიგებელი ბრძოლა მემარჯვენე და მემარცხენე ოპორტუნიზმის, ბურჟუაზიული ნაციონალიზმის გავლენის წინააღმდეგ, უზრუნველყოფდა მისი საქმიანობის წარმატებას. ინდოეთის კომპარტია სხვა მოძმე პარტიებთან ერთად აქტიურად იბრძვის საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ერთიანობისა და შეკავშირებისათვის. (საკდესი).

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲘᲡ ᲒᲠᲬᲧᲘᲜᲕᲐᲚᲔ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ

ᲒᲕᲘᲚᲝᲪᲐᲕᲔᲜ ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲠᲒᲐᲠᲔᲗᲘᲓᲐᲜ

ᲘᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲓᲐ�კᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲗ, რომ კაცობრიობის ისტორიაში პირველად მთვარეზე წარმატებით დაჯდა საბჭოთა ავტომატური სადგური, ლ. ი. ბრეჟნევს, ნ. ვ. პოდგორნის, ა. ნ. კოსიგინს უამრავი მისასალმებელი დეპეშა მოსდით საზღვარგარეთიდან.

მისასალმებელი დეპეშები გამოგზავნეს პოლონეთიდან ვ. გომულკამ, ე. ოხაბმა და ი. ცირანკიევიჩმა, ჩეხოსლოვაკიიდან — ა. ნოვოტნიმ; რუმინეთიდან — ნ. ჩაუშესკუმ, კიუბა სტოიკამ და იონ. გეორგე მაურერმა; უნგრეთიდან — ი. კადარმა, ი. დობიმ და დ. კალაიმ, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკიდან — ი. ცედენბალმა და ჟ. სამბუმ; ბულგარეთიდან ვულკო ჩერვენკოვმა, ტ. ჟივკოვმა, ვ. ტოდორ ჟივკოვმა, ი. დიმანმა და ვ. კორნსნმა; იუგოსლავიიდან— იოსიპ ბროზ ტიტომ.

საფრანგეთის კომპარტიის, იტალიის კომპარტიის, ჩილის კომპარტიის, კანადის კომპარტიის, კვიპროსის შრომელი ხალხის პროგრესული პარტიის, არგენტინის კომპარტიის ხელმძღვანელებმა სკკპ ცენტრალურ კომიტეტს გამოუგზავნეს დეპეშები, რომლებშიც გულითადად ულოცავენ და, შედგომ წარმატებებს უსურვებენ.

• • •

მისასალმები დეპეშები გამოგზავნეს საფრანგეთის პრეზიდენტმა შ. დე გოლმა, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ლინდონ ბ. ჯონსონმა, დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა ჰ. ვილსონმა, ინდოეთის პრეზიდენტმა ს. რადაკრიშნანმა, ეთიოპიის იმპერატორმა ჰაილე სელასიემ. (საკდესი).

ᲛᲗᲕᲐᲠᲘᲡ ᲝᲑᲘᲔᲥᲢᲘᲕᲨᲘ

„ᲚᲣᲜᲐ-9“-სთან კავშირის სეანსების დროს 4 და 5 თებერვალს წარმოებდა გადმოცემა მთვარის იმ ლანდშაფტის გარმოსახულებებისა, რომელიც სადგურიდან ჩანდა.

ჰორიზონტზე მზის სხვადასხვა სიმაღლის დროს მიღებული განმეორებითი გამოსახულებანი მდიდარ მასალას იძლევიან მთვარის ზედაპირის სტრუქტურის შესასწავლად და განსაკუთრებით დიდ მეცნიერულ ღირებულებას წარმოადგენენ.

სურათებზე ჩანს ორი ძომიჯნავე უბანი მთვარის პანორამისა სადგურ „ლუნა-9“-დან. სამხრეთ-აღმოსავლეთ მხარეს. ეს გამოსახულებანი მიღებულ იქნა 4 თებერვალს დილით. სადგურის ადგილსამყოფელია ქაოშშალთა ოკეანის განაპირა მხარე, მთვარის ეკვატორის ახლოს. ამ რაიონში მთვარის ზედაპირი შედარებით ვაკეა. მზე, სადგურიდან რომ ჩანდა, დაახლოებით 7 გრადუს სიმაღლეზე იყო მთვარის ჰორიზონტს ზემოთ.

გადმოცემის დროს კამერა ჰორიზონტისაკენ იყო დახრილი. პირველ სურათზე ქვემოთ ჩანს სადგურის ნაწილი. მეორე სურათის მარცხენა ნაწილში ვერტიკალური ზოლი რომ ჩანს, ეს ანტენაა; მარჯვენა ნაწილშია სადგურის ორწახნაგოვანი სარკე, რომელშიც არეკლილია მთვარის ზედაპირის უბნები. მანძილი სადგურიდან ჰორიზონტის ხაზამდე დაახლოებით 1,5 კილომეტრს შეადგენს. სადგურის ახლოს ჩანს ზედაპირის ძალიან წვრილი დეტალები. წარმოდგენას სადგურის ახლო მახსტაბიც შესახებ აძლევა მანძილი სადგურის ხილული დეტალის ზემო კუთხეებს შორის (პირველი სურათი), რაც ოთხ სანტიმეტრს უდრის.

სურათებზე სადგურის ახლოს შეიძლება გავარჩიოთ ერთ-ორ მილიმეტრამდე ზომის დეტალები.

სადგურის რაიონში მთვარის ზედაპირი საკმაოდ მაგარია, რადგან სურათი გვიჩვენებს, რომ სადგური მნიშვნელოვნად არ ჩაფლულა გრუნტში, მთვარის ზედაპირზე არა ჩანს მტვრის შესამჩნევი კვალი.

მთვარის ზედაპირი ძალიან მკრესი და ბეგური ფოსო და ბორცვაკი აქვს. გაფანტულია ქვის ტიპის ცალკეული წარმონაქმნები. სადგურის წინ მდებარე ქვა, რომელსაც პირველ სურათზე ვხედავთ და გრძელი ჩრდილი აქვს, ზომით 15 სანტიმეტრამდეა და სადგურიდან ორ მეტრამდე მანძილზე დევს. შორს მოჩანს გაცილებით უფრო დიდი ქვები, რომელთა ზომას სურათებზე ჩქმალავს პერსპექტივა. დიდი შავი ლაქები ფოსოებია. განსაკუთრებით დიდი ფოსო ჩანს მარჯვნივ მეორე სურათზე. მისი განივი ზომები რამდენიმე მეტრს შეადგენს. ზემოთ მარცხნივ პირველ სურათზე ჩანს დიდი ფოსოებისა და ბორცვების ჯგუფი.

იმის გამო, რომ მთვარეზე ატმოსფერო არ არის, მთლად შავ ცას ვხედავთ. განბნეული შუქის უქონლობა ძალიან კონტრასტულ ჩრდილებს იძლევა.

ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲘᲡ ᲞᲝᲡᲢᲘ

ᲣᲞᲐᲢᲐᲙᲔᲑᲔᲜ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲡ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ კპ ვანის რაიონის პირველმა მდივანმა გ. უიშიანმა, — რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ო. გიორგაძემ, სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსმა გ. მაღლაკელიძემ რედაქციას აცნობეს, რომ რაიონის მშრომელებმა პირველი თებერვლისათვის სახელმწიფოს მიჰყიდეს 942 ცენტნერი ბორცი ნაცვლად პირველი კვარტალის გეგმით გათვალისწინებული 850 ცენტნერისა, ანუ გასული წლის ამავე პერიოდთან შედარებით 890 ცენტნერით მეტი. სახელმწიფოსათვის კვერცხის მიყიდვის პირველი კვარტალის გეგმა განვლილია 100 პროცენტით, სახელმწიფოს მიეყიდა 185 ათასი ცალი კვერცხი. იანვარში გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით წარმოებულია 330 ცენტნერით მეტი რძე.

სოციალისტური შეჯიბრების ინიციატორებმა — წითელწყაროს რაიონის მექანიზატორებმა, რომლებმაც ვალდებულება იკისრეს ჩვენი პარტიის XXIII ყრილობის პატივსაცემად ზამთრის დადგომამდე შეხვდნენ გაზაფხულს, წარმატებები მოიპოვეს.

საქართველოს კპ წითელწყაროს რაიკომის პირველმა მდივანმა ა. ბანაშვილმა, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ე. შანშაშვილმა, სოფლის მეურნეობის უფროსმა ი. ხუციურულმა „კომუნისტს“ რედაქციაში აცნობეს, რომ წითელწყაროელმა მექანიზატორებმა გასული წლის მეოთხე და მეოთხედ წლის პირველ კვარტალში შეაკეთეს 248 ტრაქტორი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 181-ისა, 263 გუთანი ნაცვლად 195-ისა, 173 სათესი მანქანა ნაცვლად 85-ისა, მათ შორის 59 ცალი სიმინდის სათესი მანქანა, 105 კულტივატორი ნაცვლად 66-ისა, 29 სიმინდის ასაღები კომბაინი ნაცვლად 12-ისა, 16 ცალი სილოსის ასაღები კომბაინი — გეგმის 100 პროცენტი, 60 სათიბი ტრაქტორი ნაცვლად 43-ისა, 16 ცალი მარცვლის საწმენდი მანქანა ნაცვლად 11-ისა. დიდი გადაპირებებით შესრულდა აგრეთვე კომბაინების რემონტის გეგმა.

ᲐᲮᲚᲝᲕᲔᲓᲔᲑᲐ ᲒᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲘ

ᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲣᲚᲘᲐ

ᲛᲪᲮᲔᲗᲐ. („კომუნისტის“. კორ.). რაიონის მექანიზატორები ენერგიულად შრომობენ საქართველოს კომპარტიის XXIII ყრილობის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის. გასული წლის მეოთხე და მომდინარე წლის პირველი კვარტალის გეგმით ნაკისრი ვალდებულებით მექანიზატორებს უნდა შეეკეთებინათ 31 ტრაქტორი. შეჯიბრების ფართოდ გაჩაღებით მათ ვადამდე — 20 იანვრისათვის შეაკეთეს 32 ტრაქტორი.

◆

ᲛᲔᲥᲐᲜᲘᲖᲐᲢᲝᲠᲔᲑᲘ — ᲛᲘᲜᲓᲒᲠᲐᲓ

ᲛᲐᲘᲐᲙᲝᲕᲡᲙᲘ. (საკ. კორ.). რაიონის მექანიზატორები მინდვრად გავდნენ. ადრეული ადგილობრივი ხეხა გაჩაღდა ობრის მარქსის სახელობის, ამავე სოფლის დიმიტროვის სახელობის და წითელტაეის ფრუნზეს სახელობის კოლმეურნეობებში. მექანიზატორები გრიგოლ მეფარიშვილი, ზურაბ მელაძე და ნოდარ მარიტიძე „ᲓᲢ-75“ მარკის ტრაქტორებით ხეხის ღელეურ დაცალებებს გადაპირებებით ასრულებენ.



ᲪᲘᲡᲤᲔᲠ ᲔᲙᲠᲐᲜᲔᲑᲖᲔ

„ᲐᲛᲮᲐᲜᲐ�გᲔᲑᲝ! ᲗᲕᲘᲗᲔᲑᲘ ᲬᲘᲜ ᲛᲗᲕᲐᲠᲘᲡ ᲚᲐᲜᲓᲨᲐᲤᲢᲘᲡ!“ — ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲢᲔᲚᲔᲒᲕᲘᲖᲘᲝᲜᲘᲡ ᲓᲘᲥᲢᲝᲠᲘᲡ ᲐᲛ ᲡᲘᲢᲧᲕᲔᲑᲐᲛ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲘ ᲐᲗᲐᲡᲘᲐᲜᲘ ᲐᲐᲓᲔᲚᲘᲐ ᲩᲕᲔᲜ ᲤᲘᲚᲐᲥᲘᲡᲐᲨᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲡ ᲤᲐᲠᲒᲚᲔᲑᲘ ᲒᲐᲠᲔᲛᲝ, ᲓᲐᲕᲘᲬᲧᲔᲗ ᲛᲘᲡᲘ ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲐ ᲡᲐᲜᲐᲮᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲬᲘᲚᲘᲡ ᲓᲐᲛᲘᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲐᲨᲘ.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

(დასასრული)

6. დაწესდეს, რომ იმ ახალგაზრდებს, რომლებსაც საწარმოები და ორგანიზაციები გზავნიან კვალიფიციური მუშაკთა მოსამზადებელ კურსებზე წარმოებისაგან მოწყვეტით, მიეცემათ იმ სატარიფო განაკვეთის (თანამდებობრივი ხელფასის) 50 პროცენტი, რომელიც დადგენილია იმ პროფესიისა (თანამდებობის) და კვალიფიკაციისათვის, რომლისთვისაც მათ ამზადებენ. კურსების იმ მსმენელებს, რომლებიც სხვა ქალაქებიდან არიან ჩამოსული, აუნაზღაურდებათ კურსებზე ჩასვლისა და დაბრუნების გზის ფული დადგენილი ნორმების შესაბამისად.

7. დროზე რომ მოაწყონ სამუშაოდ ახალგაზრდები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებელო სკოლებს 1966 წელს დაამთავრებენ, მაგრამ ვერ შეძლებენ სწავლის განგრძობას წარმოებისაგან მოწყვეტით, დაევალოს მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს 2 თვეში შეიმუშაონ კონკრეტული ღონისძიებანი ყველა ქალაქისა და რაიონისათვის, ამასთან უზრუნველყონ, რომ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებმა დროზე აცნობონ საწარმოებს, საბჭოთა მეურნეობებს, კოლმეურნეობებს, სამშენებლო და სხვა ორგანიზაციებს, რომლებიც ქალაქისა თუ რაიონის ტერიტორიაზეა განლაგებული, მიუხედავად იმისა, თუ რომელ უწყებას მიეკუთვნებიან ისინი, ახალგაზრდობის შრომითი მოწყობის დავალებანი. თუ საჭირო იქნა, გითვალისწინონ საშუალო ზოგადსაგანმანათლებელო სკოლების კურსდამთავრებული ახალგაზრდების ორგანიზებული გაგზავნა (მათი სურვილისამებრ) ჩვენი ქვეყნის უმნიშვნელოვანეს საწარმოებში და მშენებლობებზე.

8. მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურმა კომიტეტებმა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა სასოფლო-სამეურნეო ორგანოების, სახალხო განათლების ორგანოებისა და კომკავშირული ორგანიზაციების მონაწილეობით უნდა უზრუნველყონ საშუალო სკოლების სულ ცოტა 500 ათასი კურსდამთავრებულის მოწყობა კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში სამუშაოდ.

ზემოაღნიშნულ ახალგაზრდობას შეუქმნან პირობები, რათა კურსებზე ან უშუალოდ წარმოებაში დაეუფლონ მექანიზატორთა, მშენებელთა, მეცხოველეთა პროფესიებსა და სოფლის მეურნეობაში საჭირო სხვა პროფესიებს.

9. იმ მიზნით, რომ ვაკრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოები უზრუნველყოფილ იქნან ზოგადსაგანმანათლებლო მომზადების შესაბამისი დონის მუშაკებით, განხორციელდეს სსრ კავშირის ვაკრობის სამინისტროსა და ცენტროსოიუზის წინადადება, რომ 1966 წელს სახელმწიფო ვაკრობისა და სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემაში სამუშაოდ მიიღონ 314 ათასი კაცი, რომლებმაც დაამთავრეს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები და წინასწარ შეისწავლეს პროფესიები სასწავლებლებში, სკოლებში, კურსებზე და უშუალოდ წარმოებაში.

10. იმ მიზნით, რომ შეიქმნას ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების კურსდამთავრებულთა სამუშაოზე მიღების გადიდების პირობები, დაწესდეს სამუშაო ადგილების ჯავშანი მოზარდთა სამუშაოზე მისაღებად. ამ ადგილების რიცხვი უნდა შეადგენდეს საწარმოთა და ორგანიზაციათა მუშებისა და მოსამსახურეების საერთო რიცხვის 0,5-დან 10-მდე პროცენტს.

სსრ კავშირის სამინისტროებმა და უწყებებმა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა უნდა დაუმტკიცონ საქვეუწყებო საწარმოებს, მშენებლობებსა და სხვა ორგანიზაციებს მოზარდთა მისაღები სამუშაო ადგილების ჯავშანი იმ ოდენობის ფარგლებში, რომელიც დაწესებულია სახალხო მეურნეობის დარგებისათვის.

მშრომელთა დეპუტატების სამხარეო, საოლქო, საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებმა უნდა გააცნონ საწარმოებს, სამშენებლო და სხვა ორგანიზაციებს, მათი უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად, ახალგაზრდობის შრომითი მოწყობის გეგმები მათთვის დამტკიცებული ჯავშნის ფარგლებში.

როგორც გამონაკლისი, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს ნება დაერთოთ 1966 წელს დაუწესონ საწარმოებს, მშენებლობებს, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა ორგანიზაციებს, რომლებიც რესპუბლიკის ტერიტორიაზე არიან განლაგებული, მათი უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად, ახალგაზრდობის სამუშაოზე მიღების დავალებანი, რომლებიც აღემატება ჯავშნის დაწესებულ ოდენობას, ამასთან იხელმძღვანელონ იმით, რომ რაც შეიძლება მეტი მოსწავლისა და მუშის ადგილი გამოაყოფონ.

11. სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს დაევალოს 1966 წლიდან შრომის გეგმებში, ხელფასის დამტკიცებული ფონდის ფარგლებში. ცალკე აწკარად გამოჰყონ ხელფასის ფონდი, რომელიც საჭიროა მოზარდთა შრომის ასანაზღაურებლად, და გითვალისწინონ ახალგაზრდობის შრომითი მოწყობის გეგმა, რომელიც დაწესებულია სამრეწველო საწარმოებისა და მშენებლობებისათვის.

სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს უფლება მიეცეთ გაადიდონ მოზარდთა შრომის ასანაზღაურებლად გამოყოფილი ხელფასის ფონდი, მუშებისა და მოსამსახურეების ხელფასის საერთო ფონდის ფარგლებში, აგრეთვე საქვეუწყებო საწარმოებსა და მშენებლობებს შორის გადაანაწილონ ხელფასის ფონდი მოზარდთა შრომის ასანაზღაურებლად, მიუხედავად იმ ვადებისა, რომლებიც დაწესებულია საწარმოთა და მშენებლობათა კვარტალურ და თვიურ გეგმებში ცვლილებათა შეტანისათვის.

12. სამრეწველო საწარმოთა და სამშენებლო ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს უფლება მიეცეთ პროფკავშირთა შუსაბამის კომიტეტებთან შეთანხმებით დაუწესონ 18 წლამდე ასაკის მუშებს, რომლებმაც დაამთავრეს ზოგადსაგანმანათლებელო სკოლები საწარმოო სწავლებით, მოკლევადიანი კურსები ან გაიარეს ინდივიდუალურ-რიგგადული სწავლება უშუალოდ საწარმოში, გამომუშავების შემცირებული ნორმები, მაგრამ არაუმეტეს 20 პროცენტისა. პირველი ოთხი თვის მანძილზე დამოუკიდებელი შრომის დაწყებიდან.

აღნიშნული ახალგაზრდა მუშებისათვის გამომუშავების შემცირებული ნორმების დაწესებასთან დაკავშირებული ხარჯები გასწიონ შესაბამის საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელფასის ფონდების ფარგლებში.

13. უფრო რომ დაკავშირებოთ საწარმოები ზოგადსაგანმანათლებელო სკოლების კურსდამთავრებული ახალგაზრდების სამუშაოზე მიღებით, ნება დაერთოთ სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკს, რომ მსუბუქი და კვების მრეწველობის რენტაბელურად მომუშავე საწარმოებსა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოებს, როცა ეს საწარმოები იყენებენ მოსახლეობის მოთხოვნილების შესაბამისი პროდუქციის წარმოების გადიდებისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების დამატებითს დავალებას და ამასთან დაკავშირებით გაადიდებენ მუშაკთა რიცხვს, აძლიოს 1966-1967 წლებში ხელფასის დამტკიცებული ფონდის გადამეტებით ხელფასის ასანაზღაურებელი სახსრები ხელფასის ფონდის ერთი პროცენტის ოდენობით გეგმის გადაჭარბებით შესრულების ყოველ პროცენტზე.

14. რჩევა მიეცეს მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებსა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს ერთი თვის ვადაში მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკებში, მხარეებში, ოლქებში, ქალაქებსა და რაიონებში შექმნან ახალგაზრდობის შრომითი მოწყობის კომისიები, რომელთა შემადგენლობაში შევლენ რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე (სამხარეო, საოლქო, საქალაქო და რაიონული აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე) — კომისიის თავმჯდომარე, პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული და სამეურნეო ორგანიზაციების, სახალხო და პროფესიულ-ტექნიკური განათლების ორგანოთა წარმომადგენლები საშტატო მუშაკთა ბაზარი ამარაკით მართვის ორგანოების მუშაკთა საერთო რიცხვისა და ხელფასის ფონდის ფარგლებში.

საწარმოები და ორგანიზაციები 18 წლამდე ასაკის ახალგაზრდა მუშებისა და მოსამსახურეების სამუშაოდან გასათავისუფლების საკითხების შემთხვევაში, მიზეზების მიუხედავად, ვალდებული არიან ახალგაზრდობის შრომითი მოწყობის საქალაქო (რაიონულ) კომისიებთან ერთად უზრუნველყონ მათი ახალ სამუშაოზე მოწყობა.

15. დაევალოს მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს, მშრომელთა დეპუტატების სამხარეო, საოლქო, საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს საგეგმო ორგანოებთან ერთად 1966 წელს და მომდევნო წლებში [illegible] ასაკისა და მუშათა დაბებში, სადაც არ არის ზოგადსაგანმანათლებელო სკოლები, საკმაო შესაძლებლობანი, [illegible]

— განვითარდეს ახალი [illegible] ეროვნული [illegible] უბნები მოქმედ საწარმოებში, სადაც უპირატესად გამოიყენებულ იქნას ახალგაზრდობის შრომა;

— შეიქმნას დიდ საწარმოთა ფილიალები და საამქროები, მომავალი და დამხმარე წარმოებანი ინდუსტრიული ცენტრების საწარმოებთან კოოპერაციის საფუძველზე;

— გაფართოდეს ადგილობრივი მრეწველობის საწარმოები ნედლეულისა და მასალების, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ნარჩენების გამოყენების ბაზაზე, მოეწყოს და გადიდდეს კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების საქონლის, საშენი მასალების, ბოსტნეულისა და ხილის კონსერვების წარმოება, გარეული ნაყოფისა და კენწრის და სხვ. დამზადება, აგრეთვე განვითარდეს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოები, განსაკუთრებით სოფლად.

16. მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურმა კომიტეტებმა, პარტიის სამხარეო, საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებმა პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებთან ერთად გააძლიერონ კონტროლი წარმოებაში ახალგაზრდობის მიღებისადმი, მათი პროფესიული სწავლებისადმი, აღზრდისა და შრომითი გამოყენებისადმი.

საკავშირო პროფსაბჭომ და ადგილობრივმა პროფკავშირულ ორგანიზაციებმა უზრუნველყონ უმაცრესი კონტროლი იმისადმი, თუ როგორ იცავენ სამეურნეო ხელმძღვანელები ახალგაზრდობის შრომის დაცვის კანონებს; ამაღლონ პროფკავშირული ორგანიზაციების როლი ახალგაზრდობის საწარმოო-ტექნიკურ სწავლებასთან დაკავშირებულ მისი შრომისა და დასვენების საჭირო პირობების შექმნასთან, აგრეთვე საჭირო საყოფაცხოვრებო პირობების შექმნასთან დაკავშირებულ მუშაობაში.

სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა და ადგილობრივმა კომკავშირულმა ორგანოებმა გაადიდონ კომკავშირული ორგანიზაციების პასუხისმგებლობა სკოლიდან წარმოებაში მოსული ახალგაზრდობის შრომითი აღზრდისათვის, ქალიშვილებსა და ბიჭებს ჩაუნერგონ პატიოსნებას, რომ დაეუფლონ პროფესიას, ტექნიკურ ცოდნასა და მოწინავე მუშათა მუშაობის მეთოდებს.

კომკავშირულმა ორგანოებმა სახალხო განათლების ორგანოებთან ერთად გააძლიერონ მუშაობა საშუალო ზოგადსაგანმანათლებელ სკოლებში ახალგაზრდობის პროფესიონალიზაციისათვის, რაც უფრო ფართოდ მიიზიდონ იგი სამუშაოდ მშენებლობაში, სოფლის მეურნეობაში, ვაკრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოებში, აგრეთვე მოსახლეობის მომსახურებასთან დაკავშირებული სხვა დარგების საწარმოებში.

უნიკალური დოკუმენტები

მთელ მსოფლიოში კვლავ უდიდეს ინტერესს იწვევს საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის თვალსაჩინო გამარჯვება — ავტომატური სადგურის „ლუნა-9“-ის წარნარად დაჯდომა და მისი საშუალებით განხორციელებული მთვარის კვლევის პროგრამის წარმატება.

პრაღა. ჩეხოსლოვაკიის გაზეთები დიდი სათაურებით: „ლუნა-9“-მ წარმატებით შეასრულა თავისი მისია“, „სამეცნიერო კვლევის პროგრამა ბრწყინვალედ შესრულდა“, „საბჭოთა კავშირი პირველ ადგილზეა კოსმოსური სივრცის შესწავლაში“ ბეჭდავენ მრავალ ცნობას საბჭოთა ავტომატური სადგურის შესახებ.

ის, რაც „ლუნა-9“-მ გააკეთა, წერს „რუდე პრავო“, ნამდვილად ეხება ფანტასტიკის სფეროს. სატელევიზიო აპარატურამ გადმოსცა უმდიდრესი მასალა, რომელიც გააფართოებს ადამიანის ცოდნას მთვარის ზედაპირის სტრუქტურის შესახებ.

საკდესის კორესპონდენტი შეეკითხა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის კოსმოსური სივრცის კვლევისა და გამოყენების კომისიის თავმჯდომარეს აკადემიკოს ა. ა. ბლაგონრავოვს? „რომ აიხსნება, რომ ერთმანეთისაგან განსხვავდება ჩვენს ქვეყანაში საბჭოთა სადგურ „ლუნა-9“-დან მიღებული და ინგლისის ჯოდრელ ბენკის ობსერვატორიის მიერ მიღებული ფოტოსურათები?“.

აკადემიკოსმა ბლაგონრავოვმა თქვა:

„როგორც ცნობილია, საბჭოთა კავშირი მთელ მსოფლიოს დროულად აცნობებდა, თუ როდის მოეწყობოდა კავშირის სეანსები სადგურ „ლუნა-9“-თან და როგორი იყო გადაცემის სიხშირე. უნდა ითქვას, რომ დაუმიფრავი სატელევიზიო სიგნალების მიღება, როგორიცაა სადგურ „ლუნა-9“-ის გადამცემის სიგნალები, ტექნიკურად ძნელი არ არის და უმთავრესად დამოკიდებულია გადმოცემული სიგნალების ხარისხზე. მაგრამ გამოსახულების დაუმახინჯებლად მიღებისათვის უნდა გიცოდეთ ვერტიკალური და ჰორიზონტალური მასშტაბები.

ინგლისის ობსერვატორიის მიერ მიღებულ ფოტოსურათებზე სიგნალები კარგად არის აღბეჭდილი. მაგრამ, სამწუხაროდ, ჯოდრელ ბენკის ობსერვატორია მიღებასა და დამუშავებას აწარმოებდა ზემოაღნიშნული ფაქტორების გაუთვალისწინებლად, რის შედეგადაც მათ სურათებზე ჰორიზონტალური მასშტაბი დაახლოებით 2,5-ჯერ არის შემცირებული.

ცოტა არ იყოს, საკვირველია, ისეთმა ცნობილმა ობსერვატორიამ, როგორიცაა ჯოდრელ ბენკი და რომელსაც თვალსაჩინო ინგლისელი მეცნიერი პროფესორი ლოველ ხელმძღვანელობს, რატომ უეჭველია, რომ ეს ფოტოსურათები სამუდამოდ შევა ისტორიაში, როგორც საუკუნის სურათები, როგორც უნიკალური დოკუმენტები, რომლებიც მოწმობენ ადამიანის გონების სიდიადეს.

საბჭოთა კავშირმა, ხახს უსვამს „სვობოდნე სლოვო“, ტრიუმფალურ გამარჯვებათა ახალი, ფურცელი ჩაწერა კოსმოსის დაპყრობაში. ახალ ეშსპერიმენტს ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვს მეცნიერებისათვის. ახალ ეტაპს კოსმონავტიკაში კვლავ იწყებს საბჭოთა კავშირი, ნათლად ადასტურებს სოციალისტური სამყაროს შესაძლებლობებს და თავის უდავო პირველობას კოსმოსური სივრცის კვლევაში.

ბელგრადი. დღეს „ბორბა“ და „პოლიტიკა“ პირველ გვერდებზე დიდი სათაურებით იუწყებიან, რომ წარმატებით დამთავრდა ავტომატური სადგურის „ლუნა-9“-ის საშუალებით მთვარის კვლევის პროგრამა.

„ბორბა“ წერს, რომ უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს სადგურის მიერ გადმოცემულ ფოტოსურათებს.

ტოკიო. დღეს იაპონიის უკლებლივ ყველა გაზეთის ფურცლები, ტელევიზიის გადაცემები სავსეა მთვარის ზედაპირის ფოტოსურათებით, რომლებიც ავტომატურმა სადგურმა „ლუნა-9“-მ გადმოსცა დედამიწაზე, იბეჭდება მრავალი ცნობა და კომენტარი სადგურის ფრენის შესახებ. იაპონიის რადიო გადაცემებს უძღვნის „ლუნა-9“-ს, იაპონელი მეცნიერები აღნიშნავენ, თუ რა დიდი ისტორიული მნიშვნელობა აქვს საბჭოთა ავტომატური სადგურის მიერ გადაღებულ მთვარის ზედაპირის ფოტოსურათებს.

სოფია. „აღბეჭდული ვარ საბჭოთა მეცნიერების დიდი მიღწევით. ვუსურვებ მათ, რომ ეს მიღწევა დაგვირგვინდეს შემდგომი წარმატებებით მთელი კაცობრიობის საკეთილდღეოდ“. — განაცხადა ბულგარეთის გაზეთ „ნაროდნა მლად

კაცობრიობის დიადი მიღწევა

პირველი ავტომატური სადგური მთვარეზე

ეროვნული ბიბლიოთეკა



ავტომატური სადგური მთვარის ზედაპირზე (ნახატი).

მთვარეზე პირველი ავტომატური სამეცნიერო სადგურის შექმნა საბჭოთა მეცნიერების, ინჟინრებისა და მუშების დიდი კოლექტივების დაკაბული და ბეჯითი შრომის შედეგია

1966 წლის 3 თებერვალს 21 საათსა, 45 წუთსა და 30 წამზე მოსკოვის დროით საბჭოთა ავტომატური სადგური „ლუნა-9“ რბილად (ნარნარად) დაჯდა მთვარეზე. 4 თებერვალს დედამიწიდან მიცემული კომანდით სადგურმა დაიწყო მთვარის ლანდშაფტის მიმოხილვა და მისი გამოსახულების გადმოცემა დედამიწაზე. ადამიანის შექმნილი კოსმოსური აპარატი ისტორიაში პირველად დაჯდა მთვარეზე იმ მიზნით, რომ მისი ზედაპირიდან გადმოეცა სამეცნიერო ინფორმაცია.

რბილად დაჯდომა მთვარეზე — ციურ სხეულზე, რომელსაც ატმოსფერო არა აქვს, კოსმონავტიკის ერთ-ერთ უძნელეს ტექნიკურ პრობლემას წარმოადგენს. იმის გამო, რომ მთვარეს ატმოსფერო არა აქვს, დაჯდომის წინ კოსმოსური აპარატის დამუხრუჭება შეიძლება მხოლოდ რაკეტული ძრავის საშუალებით და აუცილებელს ხდის, რომ აპარატზე იყოს ადამიანი იქნება, შეიძლება მხოლოდ იმ გზით, თუ მთვარის ზედაპირზე ავტომატურ სამეცნიერო სადგურებს დავსვამთ. მხოლოდ ასეთ სადგურებს შეუძლიათ მოგვცენ საიმედო ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რამდენად მტკიცეა გრუნტი, როგორია მისი ქიმიური და ფიზიკური თვისებები და სხვა თავისებურებანი.

რბილად დაჯდომა მთვარეზე კოსმონავტიკის შემდგომი განვითარებისა და ადამიანის მიერ მთვარის ათვისების აუცილებელი ეტაპია.

სადგური „ლუნა-9“ შედგება სამი ძირითადი ნაწილისაგან: საკუთრივ მთვარის ავტომატური სადგურისაგან, რომელიც იმდენად „რბილად“ უნდა იქნას დასმული მთვარის ზედაპირზე, რომ მასზე დადგმულმა აპარატურამ მთლიანად შეინარჩუნოს მუშაობის უნარი; მამოძრავებელი დანადგარისაგან, რომლის დანიშნულებაა ტრაექტორიის კორექციები და მთვარეზე ფრენის ბანგრძლივობის ოპტიკურ მოწყობილობებს ფრენაში სადგურის ორიენტაციისათვის, ორბიტის რადიოკონტროლის სისტემას, პროგრამულ-დროითს მოწყობილობას, რბილად დაჯდომის რადიოსისტემას, კვების წყაროებსა და ორიენტაციის სისტემის მიკროძრავებს.

კონსტრუქციულად მთვარის ავტომატური სადგურის კავშირი მამოძრავებელ დანადგართან და მართვის ნაკვეთურებთან განხორციელებულია იმგვარად, რომ დროის იმ მომენტში, რომელიც წინ უძღვის გრუნტის შეხებას, მთვარის სადგური გამოიყოფა და ეშვება იმ წერტილისაგან მოშორებით, რომელზეც მამოძრავებელი დანადგარი დაეშვა.

სადგურ „ლუნა-9“-ის წონა მას შემდეგ, რაც იგი გაყვანილ იქნა მთვარისაკენ ფრენის ტრაექტორიაზე, 1.583 კილოგრამს შეადგენდა.



ნახატი 1. ავტომატურ სადგურ „ლუნა-9“-ის ფრენის სქემა.

საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის ეს ბრწყინვალე მიღწევა ადამიანურ ცივილიზაციის ისტორიაში ერთ-ერთ ყველაზე ბრწყინვალე ფურცელია. ეს ფურცელი ეძღვნება ლენინურ პარტიას, ეძღვნება ჩვენ ქვეყანას, ეძღვნება ადამიანთა ბედნიერ მომავალს.

ეს ფურცელი ეძღვნება ადამიანებს, ეძღვნება ადამიანურ ბედნიერებას, ეძღვნება ადამიანურ ბედნიერებას ამ ტერმინის ფართო, ფილოსოფიურ მნიშვნელობით. ეს ფურცელი ეძღვნება ადამიანებს, ეძღვნება ადამიანურ ბედნიერებას, ეძღვნება ადამიანურ ბედნიერებას, ეძღვნება ადამიანურ ბედნიერებას...

ეს ფურცელი ეძღვნება ადამიანებს, ეძღვნება ადამიანურ ბედნიერებას, ეძღვნება ადამიანურ ბედნიერებას, ეძღვნება ადამიანურ ბედნიერებას...

ეს ფურცელი ეძღვნება ადამიანებს, ეძღვნება ადამიანურ ბედნიერებას, ეძღვნება ადამიანურ ბედნიერებას, ეძღვნება ადამიანურ ბედნიერებას...

ეს ფურცელი ეძღვნება ადამიანებს, ეძღვნება ადამიანურ ბედნიერებას, ეძღვნება ადამიანურ ბედნიერებას, ეძღვნება ადამიანურ ბედნიერებას...

ეს ფურცელი ეძღვნება ადამიანებს, ეძღვნება ადამიანურ ბედნიერებას, ეძღვნება ადამიანურ ბედნიერებას, ეძღვნება ადამიანურ ბედნიერებას...

ეს ფურცელი ეძღვნება ადამიანებს, ეძღვნება ადამიანურ ბედნიერებას, ეძღვნება ადამიანურ ბედნიერებას, ეძღვნება ადამიანურ ბედნიერებას...

ეს ფურცელი ეძღვნება ადამიანებს, ეძღვნება ადამიანურ ბედნიერებას, ეძღვნება ადამიანურ ბედნიერებას, ეძღვნება ადამიანურ ბედნიერებას...



ნახატი 2. სქემა ავტომატურ სადგურ „ლუნა-9“-ის ფრენისა დამუხრუჭების მონაკვეთზე 1966 წ. 3 თებერვალს.



სადგურ „ლუნა-9“-ის დაჯდომის რაიონი. ისრით ნაჩვენებია მთვარეზე დაჯდომის ადგილი.

(დასასრული მე-4 გვ.).

კაცობრიობის დიადი ბიჯი

პირველი ავტომატური სადგური მთვარეზე

(დასასრული)

გამოიკვლევს კოსმოსური რადიოგამოსხივებას, მათ შორის გალაქტიკის რადიოგამოსხივებას და ზეახალი ვარსკვლავების აგზნებებს. ირმის ნახტომის სფეროებისა და სხვა ობიექტების გამოკვლევას დიდი მნიშვნელობა ექნება ვარსკვლავთა ასტრონომიის კოსმოგონიური ამოცანების გადაწყვეტისათვის. კოსმონავტიკისათვის დიდი მნიშვნელობა ექნება აგრეთვე ასტრომეტრიულ სამუშაოებს ფუნდამენტურ ასტრონომიულ მუდმივთა დაზუსტებისათვის, კატალოგების, რუკების და სხვა შედგენისათვის.

მთვარეზე შექმნილი სამეცნიერო ბაზები შესაძლებლობას მოგვცემენ სულ ახლებურად ვიწარმოოთ დედამიწის შესწავლა. პირველად იქნება შესაძლებელი მოვაწყოთ ჩვენი პლანეტის რადიოგამოსხივების რეჟიმის, მისი მკაფიობის სეზონური რეკვის გამოკვლევა, დედამიწის სისტემატური ფოტოგრაფირება. მეტეოროლოგიური სამსახური ინფორმაციას მიიღებს ერობამად დედამიწის მთელი ნახევარსფეროს შესახებ, მათ შორის ისეთი ძნელად გამოსაკვლევი რაიონების შესახებ, როგორიც ოკეანეები და პოლარული აუზებია. ის ცნობები, რომლებსაც დედამიწის ხელოვნური თანამგზავრები გადმოგვცემენ, ასეთ გლობალურ სურათს ვერ იძლევიან. მთვარის ობსერვატორიას შეეძლება დედამიწაზე ამინდის პროგნოზირება.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ მთვარიდან შესაძლებელი იქნება დედამიწაზე დავაკვირდეთ რამდენიმე ათეული მეტრი ზომის, ე. ი. რამდენიმე ასჯერ და ათასჯერ უფრო წვრილ ობიექტებს, ვიდრე იმავე ინსტრუმენტებით დედამიწიდან მთვარეზე. ამასთან იმ გამოსახულების ხარისხი, რომელსაც მთვარეზე დადგმული ტელესკოპით დავინახავთ, ძალიან მაღალი იქნება, ვინაიდან დედამიწის ატმოსფერო, რომელიც გამტვერიანებულია და განუწყვეტლივ მოძრაობს, უშუალოდ ახლოს არის დაკვირვების ობიექტთან — დედამიწის ზედაპირთან.

განსაკუთრებულ ადგილს დაიკავებს თვითონ მთვარის კვლევა. მოეწყობა მთვარის ზედაპირის ფიზიკური პირობების კვლევა, მისი ნიადაგის სტრუქტურის, მთვარის ფიგურის შესწავლა, სეისმური, გრავიტაციული და მაგნიტური დაზვერვა, სასარგებლო ნამარხების ძებნა, დიდი მასშტაბის კარტოგრაფირება.

აღსანიშნავია, რომ ამ საკითხების კვლევა შეიძლება დაწყებულ იქნას სადგურ „ლუნა-9"-ის მსგავსი ავტომატური სადგურების საშუალებით.

მზის სისტემის წარმოშობის თეორიისათვის დიდი მნიშვნელობა ექნება მთვარის წარმონაქმნების განვითარების ისტორიის კვლევას. ატმოსფეროს და თავისუფალ მდგომარეობაში მყოფი წყლის უქონლობამ გამოიწვია ის, რომ მთვარის ზედაპირზე მრავალი მილიონი წლის განმავლობაში შემორჩენილია უძველესი წარმონაქმნები თავდაპირველი სახით.

მთვარის ზედაპირზე არსებული სპეციფიკური პირობები ძალიან მოხერხებულს ხდის იქ მთელ რიგ დიდმნიშვნელოვან კვლევათა ჩატარებას. მაგალითად, მაღალვაკუუმური ტექნიკისა და ელექტრონიკის დარგში კვლევა ფართო გაქანებას მიიღებდა მთვარეზე, სადაც ვაკუუმი განუსაზღვრელი მოცულობით არის.

წარმტაცი პერსპექტივები ისახება ბიოლოგიისა და მედიცინის დარგში კვლევისათვის. როგორი იქნება მცენარეული და ცხოველური ორგანიზმების ქცევა მცირე ძალის სიმძიმის პირობებში? როგორ შეიცვლება ფიზიოლოგიური პროცესები? ეს და ბევრი სხვა საკითხი შეიძლება შესწავლილ იქნას მთვარის ზედაპირზე ცოცხალი ორგანიზმებისა და ადამიანის ხანგრძლივად ყოფნისას.

ახლა ძნელია წინასწარ განვკვრიტოთ ის უდიდესი გავლენა, რომელსაც სხვადასხვა მეცნიერების განვითარებაზე მოახდენს მთვარის სამეცნიერო ბაზებში მიღებული ახალი ცოდნა. უეჭველია ერთი რამ — ეს მეცნიერებისა და ტექნიკის მთელი რიგი დარგების განვითარების ახალი ეტაპი იქნება.

მთვარეზე რბილად დაჯდომის განხორციელება საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის შესანიშნავი გამარჯვებაა, რომელიც — დედამიწის პირველი ხელოვნური თანამგზავრის გაშვების, კოსმოსში ადამიანის პირველი გაფრენის, ხომალდიდან კოსმონავტის პირველი გასვლის შემდეგ — წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს ეტაპს კოსმოსის ათვისებაში.

„პრავდა" 7-II.

• • •

მთვარის პანორამის ერთ-ერთი ნაკვეთი, რომელიც გადაიღო „ლუნა-9"-მ. სურათის ქვემო ნაწილში მარცხნივ ჩანს სადგურის კონსტრუქციის ერთ-ერთი ელემენტი, რომელიც სატელევიზიო კამერის მხედველობის არეში მოხვედრილა. მარჯვნივ — კონსტრუქციის მეორე ელემენტი.

საკადესის ფოტოქრონიკა. (შიღებულია საკადესის ფოტოტელეგრაფით).



ეუზათა ქვეყანა

ბაკურიანი, 7 თებერვალი. (საქდისის კორ.). საქართველოს ერთ-ერთ ულამაზეს მხარეში მუზათა უჩვეულო კერიული მიმდინარეობდა. აქ, 1700 მეტრ სიმაღლეზე ამოვიდა რესპუბლიკის 160 ახალგაზრდა პოეტი, მხატვარი, კომპოზიტორი, თეატრისა და კინოს რეჟისორი, მსახიობი. ახალგაზრდებს ეწვივნენ ქართული ხელოვნების ცნობილი მოღვაწეები. აქ საქართველოს „ლკკ ცენტრალური კომიტეტის ინიციატივით გაიმართა შემოქმედებითი სემინარი თემაზე „საბჭოთა ხელოვნების მოქალაქეობრივი მოვალეობა".

სემინარის მასპინძლებმა მეგობრულ საღამოზე მოიწვიეს მოსკოველი, ლენინგრადელი, სომეხი და აზერბაიჯანელი კოლეგები შეხვედრის მონაწილენი მუშაობდნენ შემოქმედებითი პროფილით.

მაგალითად, „ლიტერატურის დღის" სემინარს ხელმძღვანელობდა პოეტი ძ. კაკლაძე. აქ წაიკითხეს აქტუალური მოსხსენებები, თუ რა როლს ასრულებს ლიტერატურა ახალგაზრდობის რევოლუციური და მრომითი ტრადიციებით აღზრდის საქმეში. ახალი ნაწარმოებები წაიკითხეს სემინარის მონაწილეებმა, პოეტებმა ჯ. ჩარკვიანმა, ა. სულაკაურმა და სხვებმა. „სახვითი ხელოვნების დღეს" ხელმძღვანელობდა სსრ კავშირის სახალხო მხატვარი შრა ჯაფარიძე. ახალგაზრდა მხატვრებმა და არქიტექტორებმა შეხვედრის მონაწილეებს გაწესასჯელად წარუდგინეს 25 ახალი ნამუშევარი. ახალგაზრდა ხუროთმოძღვართა მუშაობას მეთაურობდა თბილისის სამხატვრო აკადემიის არქიტექტურის კათედრის გამგე ი. ციცეშვილი.

საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილე, რესპუბლიკის სახალხო არტისტი დ. თორაძე ხელმძღვანელობდა „მუსიკის დღეს". მონაწილეთა წინაშე გამოვიდა სსრ კავშირის სახალხო არტისტი, კომპოზიტორი ა. მაჭავარიანი. მოისმინეს გ. ყანჩელის, ვ. აზარაშვილისა და სხვა კომპოზიტორების ნაწარმოებთა ახალი ჩანაწერები.

კინოს ახალგაზრდა მუშაკთა სემინარს ხელმძღვანელობდა რესპუბლიკის კინემატოგრაფისტთა კავშირის მდივანი ბ. ბაწერიძე. ძირითადი მოხსენების გარდა სემინარის მონაწილეები ყოველ საღამოს ნახულობდნენ საბჭოთა და უცხოელი რეჟისორების ახალ ფილმებს.

სემინარზე გამოვიდნენ საქართველოს „ლკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ი. ჩარქვიანი და საქ. „ლკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი რ. მაჩარეული.

ეს საინტერესოა!

ორმოცი წელი

ახალი კალენდრიდან

1926 წლის 1 იანვარს ტუვაში შემოღებულ იქნა ახალი წელთაღრიცხვა, ახალი კალენდარი.

რა კალენდრით სარგებლობდა ტუველი ხალხი 1926 წლამდე? მივმართოთ ისტორიას, დოკუმენტებს.

როგორც ვიცით, კალენდარი ცხელი მნათობების: ვარსკვლავების, მზის, მთვარის, პლანეტების მოძრაობის პერიოდულობის მიხედვით დროის აღრიცხვის სისტემაა. ტუვაში წინათ არსებობდა წელთაღრიცხვის მეტად რთული სისტემა — მთვარისა და მთვარე-მზის მოძრაობის მიხედვით. ხოლო საუკუნის დამდეგიდან ამას დაემატა კიდევ ახალი, თანამედროვე წელთაღრიცხვა.

მთვარის მიხედვით წელთაღრიცხვას ტუვაში ძველთაგანვე იყენებდნენ, — წერს „ტუვინსკაია პრავდაში" ტუვის ასსრ მინისტროთა საბჭოსთან არსებული საარქივო განყოფილების თანამშრომელი ნ. ჩირკალ-ოოლი. ეს აღრიცხვა მთვარის ფაზების სიდიდის მიხედვით (მთვარის სისავსე ყოველ თვის 15 რიცხვში დგება) ტუველებმა მეტად პოპულარული და მყარი იყო. მას ნაწილობრივ ახლაც იყენებენ.

ტუვაში ცნობილი იყო ეგზოთერმოდებული ცხოველთა ციკლიც, რომელიც შედგებოდა 12 წლისაგან: პირველი წელი — თაგვის წელი, მეორე — ძროხისა, მესამე — ვეფხვისა, მეოთხე — კურდღლის, დრაკონის, გველის, ცხენის, ცხვრის, მაიმუნის, ქათმის, ძაღლის, ღორისა. ეს წელთაღრიცხვა ნასესხები ყოფილა ჩინური კალენდრიდან, რომელიც ტუვაში შემოვიდა XV-XVIII საუკუნეებში, როცა ეს ადგილები მონღოლეთის სახელმწიფოს რომელშიც ტუვაც შედიოდა. ხუთი ასეთი ციკლი ერთ დიდ ციკლს შეადგენდა.

იყო მეორეხარისხოვანი წელთაღრიცხვებიც, როგორც, მაგალითად, იმპერატორის დაბადებიდან სიკვდილამდე. მაგრამ ასეთი წელთაღრიცხვები ფართოდ არ იყო გავრცელებული. ყოველდღიურ პრაქტიკულ ცხოვრებაში მის გამოსაყენებლად საჭირო იყო გადაყვანა საერთო ან სხვა კალენდარზე და პირიქით. ასეთი კალენდრებით მხოლოდ წერილობითი მეტყველებაში სარგებლობდნენ, ამიტომ ხალხის უმრავლესობას ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდა მათზე.

აი რატომ იყო, რომ ტუვის სახალხო რესპუბლიკის ახალგაზრდა მთავრობამ რესპუბლიკის მე-5 წლის მეორე 10 თვიერის 7 რიცხვს, ე. ი. 1925 წლის 21 ნოემბერს მიიღო დადგენილება „...ჩაითვალოს 1926 წლის 1 იანვარი ტუვის სახალხო რესპუბლიკის მე-6 წლის 1-ლი თვიერის 1-რიცხვად. ახალი წლის აღნიშვნა — შეგვა — ეწყობოდეს 1 იანვარს". ძველი წელთაღრიცხვით შაგაა თებერვლს დამდეგს ემთხვეოდა.

ეს პროგრესული რეფორმა იყო. და აი უკვე 40 წელია ტუვის მკვიდრი მცხოვრებნი ახალ წელს 1 იანვარს ღღესასწაულობენ.

მგზნებარე რევოლუციონერი

ა. თ. მიასნიკოვის დაბადების 80 წლისთავი

ქომუნიზმისათვის მებრძოლის, ვ. ი. ლენინის ერთგული მოწაფის ალექსანდრე თვალდორეს-ძე (პარტიულმეტსახელი ალიოშა) მიასნიკოვის რევოლუციური, პარტიული და სახელმწიფოებრივი მოღვაწეობა ფართო და მრავალმხრივია.

ა. მიასნიკოვი დაბადა 1886 წელს ქალაქ ახალ ნახჩევანში. სწავლობდა ნახჩევანის სომხურ სემინარიაში, რომელიც 1903 წელს დამთავრა. 1904 წელს შევიდა მოსკოვის უცხო ენათა ლაზარევის ინსტიტუტში. რუსეთის 1905 წლის პირველი რევოლუცია ახალგაზრდა ალიოშას პოლიტიკური აღზრდის დიდმნიშვნელოვანი სკოლა იყო. მიასნიკოვი მონაწილეობდა სტუდენტობის რევოლუციურ გამოსვლებში, გამოდიოდა შუშაოა მიტინგებსა და კრებებზე. 1906 წელს ა. მიასნიკოვი რსდმპ რიგებში შევიდა.

1906 წლის შემოდგომაზე პოლიციამ ა. მიასნიკოვის ბინა გაჩხრიკა და სოციალ-დემოკრატიული ლიტერატურა აღმოაჩინა, რისთვისაც „დაპატიმეს და შემდეგ მოსკოვიდან გასასახლეს. ახალგაზრდა რევოლუციონერი მალე ბაქოში ჩავიდა. აქ გაეცნო ვ. ი. ლენინის უახლოეს თანამებრძოლებს, გამოჩენილ პროფესიონალ რევოლუციონერ ბოლშევიკებს და ჩაება აქტიურ რევოლუციურ ბრძოლაში.

1909 წელს ა. მიასნიკოვი კვლავ მოსკოვშია, სწავლობს მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე და აქტიურად მონაწილეობს სოციალ-დემოკრატიული წრეების მუშაობაში. 1911 წელს ა. მიასნიკოვი ამთავრებს უნივერსიტეტს. ამავე დროს იგი გამოდის მარქსის ეკონომიური მოძღვრების ვულგარიზატორთა წინააღმდეგ. მან დაწერა ისეთი თვალსაჩინო ნამუშევრები, როგორიც არის „თანამედროვე ეკონომიური ცხოვრება", „ეროვნული საკითხის გადაწყვეტის შესახებ", „რუსეთში ეროვნული საკითხის ახლო წარსულიდან", „სომხური მანიფესტერობა" და სხვ.

1914 წელს ა. მიასნიკოვი არმიაში გაიწვიეს. აქ-იგი კავშირს ამყარებს პოლკში მყოფ ბოლშევიკებთან, აწყობს არალეგალურ ბოლშევიკურ ჯგუფს, პოლიტიკურ მუშაობას ეწევა ჯარისკაცთა მასებში.

1917 წლის თებერვლის რევოლუციის გამარჯვების შემდეგ ა. მიასნიკოვი ხელმძღვანელობს ჯარისკაცთა კომიტეტის ბოლშევიკურ ფრაქციას დასავლეთის ფრონტზე. მ. ფრუნზესთან ერთად იგი მონაწილეობს მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს, აგრეთვე „ბოლშევიკურ გაზეთ „ზვეზდას" შექმნაში.

ა. მიასნიკოვი პარტიის VI ყრილობის დელეგატია. ყრილობაზე იგი ვამოდის მოსსენებით არმიაში „ბოლშევიკების ამოცანების შესახებ.

1917 წლის ოქტომბერში ბოლშევიკების ჩრდილო-დასავლეთის პირველ საოლქო კონფერენციაზე ა. მიასნიკოვი არჩეულ იქნა რსდმპ ჩრდილო-დასავლეთის საოლქო კომიტეტის თავმჯდომარედ. ქ. მინსკში ა. მიასნიკოვი სათავეში ჩაუდგა სოციალისტური რევოლუციისათვის ბრძოლას. 1917 წლის 26 ოქტომბერს (8 ნოემბერს) მინსკში გამოცხადებულ იქნა საბჭოთა ხელისუფლება და ა. მიასნიკოვი აირჩიეს დასავლეთის ოლქის ბოლშევიკური სამხედრო-რევოლუციური კომიტეტის თავმჯდომარედ.

1917 წლის 20 ნოემბერს დასავლეთის ფრონტის ჯარისკაცთა დეპუტატების II ყრილობამ სერგო ორჯონიკიძის წინადადებით, რომელიც რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის სახელით გამოდიოდა, ა. მიასნიკოვი აირჩია დასავლეთის ფრონტის თავჯარსარდლად.

ჯარისკაცთა დეპუტატების ყრილობაზე წარმოთქმულ სიტყვაში მიასნიკოვმა მაღლობა გადაუხადა დელეგატებს მაღალი პატივისცემის, რომელიც მას აჩრჩვით დასდეს. „ეს პატივი დამდვი არა მე, — თქვა მან, — არამედ იმ პარტიას, რომელსაც მე ვეკუთვნი. ეს არის ბოლშევიკების პარტია". მიასნიკოვმა თქვა, რომ მტკიცე რწმენით კისრულობს ფრონტის სარდლობას, „რადგან ვიცი, რომ ჯარისკაცთა მასები ჩემთან არიან. მე ვეყრდნობი ჯარისკაცთა, მუშათა და გლეხთა მხოლოდ ამ მასას, რომელმაც ოქტომბრის გადატრიალება მოახდინა".

იხსენებდა რა ამ დღეებს, გ. კ. ორჯონიკიძე წერდა: „...უდიდესი ყრილობა ფეხზე მდგომი ეგებებოდა მის მიერ არჩეულ ახალ რევოლუციურ სარდალს. და როცა სცენაზე გამოჩნდა ნაცრისფერმაზარანი ალიოშა, მთელი ყრილობა აღტაცებით მიესალმა თავის სარდალს. ალიოშამ მაშინ შეცვალა მეფის ოქროსსამხრეებიანი გენერლები. ის იყო ოქტომბრის რევოლუციით მობილი გენერალი".

1918 წლის გაზაფხულზე, როცა აღმოსავლეთიდან ახლოვდებოდა საფრთხე ჩეხ თეთრგვარდიელ მეამბოხეთა მხრივ, რკპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა და რსფსრ მთავრობამ მიასნიკოვი დანიშნეს მთავარსარდლად ვოლგის ფრონტზე.

1918 წლის 30-31 დეკემბერს სმოლენსკში გაიმართა რკპ (ბ) ჩრდილო-დასავლეთის VI საოლქო კონფერენცია, რომელმაც თავისი თავი ბელორუსიის კომპარტიის პირველ ყრილობად გამოაცხადა. ყრილობამ ა. მიასნიკოვი ბელორუსიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს თავმჯდომარედ აირჩია.

ომარტინ ყრილობაზე ა. მიასნიკოვმა. მონაწილეობა მიიღო სამხედრო საკითხზე ყრილობის გადაწყვეტილებათა შემუშავებაში. 1919 წლის გაზაფხულზე პარტია ა. მიასნიკოვს გზავნის მოსკოვში, სადაც მას ირჩევენ რკპ(ბ) მოსკოვის კომიტეტის მდივნად. აქ მან დიდი მუშაობა გასწია მოსკოვის ბოლშევიკების დასაზაზმავად, პარტიის ცენტრალური კომიტეტის, ვ. ი. ლენინის გარშემო. ა. მიასნიკოვი ხშირად დადიოდა ქარხნებსა და ფაბრიკებში, იღებდა ზომებს მოსკოვში ნგრევისა და შიმშილის ლიკვიდაციისათვის. ვ. ი. ლენინთან ერთად მონაწილეობას იღებდა პირველ კომუნისტურ შაბათობებში. 1920 წლის ზაფხულში, როცა თეთრგვარდიელმა პოლონელებმა დაიწყეს შემოტევა საბჭოთა რესპუბლიკაზე, რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტი ა. მიასნიკოვს გზავნის დასავლეთის ფრონტის პოლიტსამმართველოს უფროსად.

1921 წელს პროფკავშირების შესახებ დისკუსიის პერიოდში ა. მიასნიკოვი ვ. ი. ლენინის მხარეზე იყო. ლენინის მითითებათა საფუძველზე ა. მიასნიკოვი ამუშავებს თეზისებს „პარტია და პროფესიული კავშირები". ეს თეზისები მოწონებულ იქნა რკპ(ბ) მოსკოვის კონფერენციაზე.

რკპ(ბ) X ყრილობაზე მიასნიკოვი თანმიმდევრულად იცავდა ლენინის ხაზს პარტიის ერთიანობის შესახებ.

1921 წ. დამდეგს რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით ა. მიასნიკოვი იგზავნება ამერიკავკასიაში, სომხეთში. რევკომის თავმჯდომარედ. ამიერკავკასიაში გამომგზავრების წინ ა. მიასნიკოვი მიიღო ვ. ი. ლენინმა და საუბარი ჰქონდა მასთან.

მიასნიკოვმა კავკასიაში მომუშავე კომუნისტებს ჩამოუტანა სადირექტივო წერილი „აზერბაიჯანის. საქართველოს, სომხეთის, დღესტნის და მთიელთა რესპუბლიკის ამხანაგ-კომუნისტებს".

1921 წელს ა. მიასნიკოვი შეყვანილ იქნა რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიუროს შემადგენლობაში და დამტკიცებულ იქნა სომხეთის სსრ სახკომსაბჭოს თავმჯდომარედ და სამხედრო საქმეთა სახალხო კომისრად.

ორჯონიკიძესთან და კიროვთან ერთად იგი დიდ მუშაობას ეწეოდა ამიერკავკასიის ხალხთა შორის ყოფილი უნდობლობის აღმოსაფხვრელად, მშრომელი მასების აღსაზრდელად თანმიმდევრული პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით.

ა. თ. მიასნიკოვი გ. კ. ორჯონიკიძესთან, ს. მ. კიროვთან, ნარიმან ნარიმანოვთან, მამია ორახელაშვილთან და სხვა გამოჩენილ ბოლშევიკებთან ერთად ახორციელებდა მტკიცე პოლიტიკას ამიერკავკასიის რესპუბლიკების ეკონომიური გაერთიანებისათვის.

1922 წლის მარტში შეიქმნა კავშირის საბჭო, როგორც ამიერკავკასიის ფედერაციის აღმასრულებელი ორგანო. ამ საბჭოს თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ა. მიასნიკოვი. კავშირის საბჭოსთან შეიქმნა უმაღლესი ეკონომიური საბჭო ა. მიასნიკოვის მეთაურობით. მალე ა. მიასნიკოვს ირჩევენ პარტიის ამიერკავკასიის სამხრეთ კომიტეტის მდივნად, გაზეთ „ზარია ვოსტოკას" და სომხურ გაზეთ „ხორურდაინ ჰაიასტანის" რედაქტორად. იგი თანამშრომლობდა „პრავდაში", „იზვესტიაში", „ეკონომიჩესკაია ჟიზნსა" და სხვა გამოცემებში.

დეკემბერში ბაქოში გაიმართა ამიერკავკასიის საბჭოების პირველი ყრილობა, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება ამიერკავკასიის რესპუბლიკების ფედერაციული კავშირის ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციულ სოციალისტურ რესპუბლიკად გარდაქმნის შესახებ. 1923-1925 წლებში ა. მიასნიკოვი ა/კ სფსრ სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილეა.

ა. მიასნიკოვი იყო მტკიცე, შეუდრეკელი ლენინელი, პრინციპული პარტიული ხელმძღვანელი, მგზნებარედ იბრძოდა პარტიის ლენინური ერთიანობისათვის, ულმობლად ებრძოდა ტროცკისტებსა და ყველა ანტიპარტიულ დაჯგუფებას, რომლებიც იმ დროს საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის ბოლშევიკური ორგანიზაციების შიგნით არსებობდნენ.

ა. მიასნიკოვი მონაწილეობს რკპ(ბ) XIII კონფერენციის მუშაობაში, პარტიის XII და XIII ყრილობებში, არჩეული იყო რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატად.

1925 წლის 22 მარტს ა. თ. მიასნიკოვი ტრაგიკულად დაიღუპა საავიაციო კატასტროფის შედეგად.

კომუნისტური პარტიის სახელოვანმა შვილმა ა. მიასნიკოვმა მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება მოახმარა კაცობრიობის ნათელი მომავლისათვის ბრძოლას.

დოცენტი მ. აბაჯანოვი.

ახალმოსახლეები

☐ **ბაქიბული.** (საკ. კორ.). კარგი საჩუქარი მიიღეს დასავლეთის შახტის მეშახტეებმა. აქ დამთავრდა დ° საექსპლოატაციოდ გადაეცა ოთხსართულიანი 48-ბინიანი საცხოვრებელი სახლი.

ახალ სახლში ბინები მიიღეს მეშიგეემ შ. შაქარაშვილმა, მნგრეველმა დ. გიორგაძემ, გამყვანმა დ. აბულაძემ, ცალის უფროსებმა მ. აბულაძემ და შ. კობახიძემ და სხვ.

☐ **ახალციხე.** (საკ. კორ.). აგ დღეებში აქ დამთავრდა ახალი ხუთსართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა. 48 ოჯახმა უკვე იზეიმა ახალმოსახლეობა.

წარმატება რვაპე წონაში

მინსკში რამდენიმე დღეს გრძელდებოდა საერთაშორისო ტურნირი ქალაკურ ჭიდაობაში ი. პოდდუბნის სახელობის პრიზზე. მონაწილეობდნენ ბულგარეთის, უნგრეთის, პოლონეთის, რუმინეთის, ფინეთის, იუგოსლავიისა და სსრ კავშირის გუნდები.

საბჭოთა ქალაიური მოჭიდავეებს უპირატესობა აშკარა იყო, მათ რვაგე წონითს კატეგორიაში პირველი ადგილი დაიკავეს და პრიზიც დაისაკუთრეს. ქვემსუფულ წონაში წარმატება ხვდა სსრ კავშირის ჩემპიონს რ. რურუას.

უველაზე სპორტული ქვეყანა ევროპაში

პარიზი, 5 თებერვალი. (საკდესის). საბჭოთა კავშირი 1965 წელს პირველი სპორტული ქვეყანა იყო ევროპაში — ასეთი დასკვნა გამოიტანეს ფრანგულ გაზეთ „ეკიპის" სპეციალისტებმა. გაზეთმა გამოაქვეყნა კლასიფიკაცია, რომელსაც საფუძვლად დაედო ევროპის თითოეული ქვეყნის შედეგები 31 სახეობის სპორტში. ეს შედეგები გვიჩვენებენ, რომ სსრ კავშირი ყოველთვის უსწრებს ევროპის სხვა ქვეყნებს.

„ეკიპის" კლასიფიკაციით საბჭოთა კავშირს 1965 წელს ჰქონდა 167,5 ქულა (1964 წელს — 161,5, 1963 წელს — 146 ქულა).

1965 წელს მეორე ადგილზეა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა — 94,5 ქულა, მესამეზე საფრანგეთი — 93.

ერთი გოლი — ორი გამარჯვება

ბელუ-ორეზონტი, 7 თებერვალი. საკდესის კორესპონდენტი ა. კოზლოვი იტყობინებს:

სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრებმა გუნდმა, რომელმაც 6 თებერვალს აქ მოუგო ადგილობრივ „კრუზეიროს" კლუბს, გაიმარჯვა ბრაზილიის შინასაქერაისის შტატის ტურნირში, რომელშიც მონაწილეობდნენ აგრეთვე „ატლეტიკო მინეირო" და „ფლამენგო". ამ მატჩსა და ტურნირში ორმაგი გამარჯვება მოუტანა გუნდს ერთდროულმა გოლმა, რომელიც 47-ე წუთზე გაიტანა ივანოვმა.

ჩვენი გუნდი მოედანზე ასეთი შემადგენლობით გამოვიდა: იაშინი, პონომარიოვი, შესტერნიოვი, აფონინი, გეტმანოვი, ვორონინი, ჭუსაინოვი, მეტრეველი, ივანოვი, ბანიშევსკი და მესხი.

30-ე წუთზე მასპინძელთა მცველმა ნიკომ საჯარიმო მოედანზე წაეკიცი მეტრეველი. პენალტი. საჯარიმო დარტყმისათვის მოემზადა ვორონინი, მაგრამ უკანასკნელ წამში ბურთს მესხმა დაარტყა და კარს აცილა.

შესვენების შემდეგ მეტრეველისა და მესხის ნაცვლად მოედანზე გამოვიდნენ ჩისლენკო და კოპაევი. 47-ე წუთზე მცველმა, რომელიც ბანიშევსკის დარაჯობდა, წამით მარტო დატოვა იგი. მაშინვე ბურთი ბანიშევსკის გადაეწოდეს. ბანიშევსკი სწრაფად გაიჭრა წინ და შემდეგ ბურთი უკან ივანოვს მიაწოდა. ზუსტი დარტყმა და ბურთი მასპინძელთა ბადეში გაეხვია.

მეორე ტაიმის ნახევარში ჭუსაინოვი და ივანოვი ბიბამ და სერებრიანიკოვმა შეცვალეს. მატჩის ბოლო წუთებმა მწვავედ ჩაიარა, მაგრამ ანგარიში არ შეცვლილა.

ამავე დღეს მესამე ადგილისათვის გამართულ ბრძოლაში „ფლამენგოს" ფეხბურთელებმა მოუგეს „ატლეტიკო მინეიროს" კლუბს 1:0.

ზეიმი ყინულზე

ბრატისლავაში დამთავრდა დიდი პაექრობა ყინულზე — ევროპის ჩემპიონატი ფიგურულ ციგურაობაში. უკანასკნელი მოდები ეწეოდა ბათამაშეს. კონტინენტის უძლიერესის სახელი ფიგურულ სრიალში მოიმოვა ვენელმა სტეფენმა რეგნინ ჰაიტცერმა, რომელმაც 2.224,4 ქულა შეაგროვა. მეორე იყო გ. ზაიფერტი (გდრ), მესამე — ნ. ასლერი (საფრანგეთი).

ჩემპიონი გამოვლინდა

გასულ კვირადღეს კიევში დამთავრდა ჩვენი ქვეყნის ზამთრის გუნდური პირველობის გათამაშება ჩოგბურთში.

როგორც ვიუწყებოდით, საქართველოს ნაკრებმა მოსკოველებთან მძაფრ ბრძოლაში დამარცხება განიცადა 4:6. ამის შემდეგ ჩვენი რესპუბლიკის ჩოგბურთელებს უნდა ებრძოლათ მესამე-მეოთხე ადგილებისათვის. მათ წააგეს მეორე მატჩიც, ამჯერად ესტონელებთან 2:5 და მეოთხე ადგილი დაიკავეს.

ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ მოსკოვისა და უკრაინის ჩოგბურთელები — გაიმარჯვეს მოსკოველებმა 5:2 და ჩემპიონობა მოიპოვეს. მეორე საპრიზო ადგილი დაიკავა უკრაინის გუნდმა, მესამე — ესტონეთის ჩოგბურთელთა კოლექტივმა.

ქომეუნისტი
პოლიტიკა

ახალი ამბები • ცნობები • ფაქტები • ქრონიკა

ფრიალებს სპარტაკიადის ალაი

მიმდინარე სპორტული სეზონის ცენტრალურ ასპარეზობას სსრ კავშირის ხალხთა ზამთრის მეორე სპარტაკიადა წარმოადგენს. ბრძოლის დასკვნითს ეტაპს წინ უძღვის სარაინო, საქალაქო და რესპუბლიკური სპარტაკიადები. ამ შეხვედრებმა უნდა გამოავლინოს საუკეთესონი, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ ფინალში.

სხვებთან ერთად დასკვნითი შეჯიბრებისათვის ემზადებიან საქართველოს სპორტსმენები, რომლებმაც რესპუბლიკური სპარტაკიადა საზეიმოდ ბაკურიანში გახსნეს. ალაი აღმართეს გასული სპარტაკიადის ჩემპიონებმა — ლ. გოგოლაძემ, გ. აბრამიშვილმა, ზ. თავაშრმა, მ. გაბამ. ხტარტზე გამოვიდა 14 გუნდის 300-მდე წარმომადგენელი. პროგრამაშია ხათხილამურო გადარბენები ქალთა და ვაჟთათვის სხვადასხვა დისტანციაზე, ესტაფეტები, სამოთ-ხათხილამურო ტრამპლინიდან ხტომა, ხათხილამურო ორბიდი, ჰოკეი.

გუნდები გაყოფილია ორ ჯგუფად. პირველში შევიდნენ — აბარის, თბილისის, ბორჯომის, ფეხოლისა და ახალქალაქის გუნდები, მეოთხეში — სამხრეთ ოსეთის, ჭოთაისის, გორის, რუსთავის, ამბროლაურის, ახალციხის, ლენინგორის, ონისა და ცაგერის სპორტსმენთა კოლექტივები.

ხტარტი მოთხილამურეებმა და ჰოკეისტებმა აიღეს. ვაჟთათვის 30 კილომეტრზე ხათხილამურო გადარბენაში უძლიერესი აღმოჩნდა საქართველოს ფეზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტი ნ. ბიბიშუკოვი — 1 საათი, 33 წუთი, 58 წამი, ქალთა შორის 5 კილომეტრის გადარბენაში — თბილისელი ა. ესხბა — 20 წუთი და 16 წამი. მატჩი ბოკეიში ახალქალაქისა და ადიგენის გუნდებს შორის დამთავრდა ახალციხის ბორჯომის გუნდი 4:2.

გუშინ გაიმართა სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული მორიგი შეხვედრები.

კოხტაგორის ფერდობზე ერთმანეთს პირველობას ეცილებოდნენ სლალომისტები. ქალთა შორის წარმატებით გამოვიდა საზოგადოება „კოლმეურნეს" მოთხილამურე ლ. გოგოლაძე. ვაჟთა შორის ამავე სახეობაში გაიმარჯვა დინამოელმა გ. აბრამიშვილმა.

სპარტაკიადა გრძელდება.

სპორტული ქრონიკა

☐ **მაგდებურგში** გაიმართა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების პირველი ნახევარფინალური მატჩი წყალბურთში. სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური საწყლოსნო კლუბის გუნდი შეხვდა ადგილობრივ „დინამოსა" და დამარცხდა 2 : 3. ამ გუნდების მეორე მატჩი შედგება მოსკოვში 12 თებერვალს. იტალიის „პროგრეკმ" პირველ ნახევარფინალურ მატჩში მოუგო ბელგრადის „პარტიზანს" 4 : 1.

☐ **იტალიაში** მსოფლიოს სტუდენტი სპორტსმენები განაგრძობენ პაექრობას უნივერსიადის პროგრამით გათვალისწინებულ სპორტის ზამთრის სახეობებში. რუმინელებთან მატჩის ფრედ (1 : 1) დამთავრების შემდეგ საბჭოთა ჰოკეისტები შეხვდნენ უნგრეთის გუნდს, გაიმარჯვეს ანგარიშით 8 : 0 და ფინალში გავიდნენ.

☐ **ბუშინ** მოსკოვიდან სპერინტეზეში გაემგზავრა სსრ კავშირის ჩემპიონი კალათბურთში — არმიის ცენტრალური სასპორტო კლუბის ვაჟთა გუნდი, რომელიც ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშების მორიგ მატჩ